განკარგულება:**გ-47. 47230308**
თარიღი:**30/01/2023**

განკარგულება N8

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. საჭამიასერში მდებარე 4407.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.16.22.014) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო დაწესებულება მომავალისათვის“ გადაცემის შესახებ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61– ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტების, 122-ე მუხლის მე-1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. საჭამიასერში მდებარე 4407.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.16.22.014) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო დაწესებულება მომავალისათვის“ საქართველოს კანონის ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“ გათვალისწინებული სარგებლობის უფლების ფორმით (უსასყიდლო უზუფრუქტი), უვადოდ, გადაცემის თაობაზე.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი